ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №159

ქ.თბილისი 5 აპრილი 2019წ.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად ერთის მხრივ, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურსა (მდებარე ქ.თბილისი, 9 აპრილის ქ.№2 შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ, შპს „ზოდი პლიუსს“ (მდებარე ქ.თბილისი, წერეთლის გამზირი №149 შემდგომში „მიმწოდებელი“) შორის.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 „მიმწოდებელი“ ახორციელებს დანართი №1-ით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებას ხელშეკრულებაზე თანდართული ჩამონათვალის, მახასიათებლების, რაოდენობისა და ფასების მიხედვით (დანართი №1) „შემსყიდველის“ მოთხოვნის შესაბამისად (კლასიფიკატორის კოდი 44100000, 24900000).

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 741 (შვიდას ორმოცდაერთი) ლარს (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“) დღგ-ს ჩათვლით;

მუხლი 3. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1 საქონლის მიწოდება ხდება „მიმწოდებლის“ მიერ 2019 წლის 15 აპრილის ჩათვლით, „მიმწოდებლის“ მისამართზე.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ითვლება მიღებულად მას შემდეგ, რაც „შემსყიდველის“ მიერ გამოყოფილი ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი წარმომადგენლები მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით დაადასტურებენ მის მიღებას;

4.2 „მიმწოდებელმა“ საქონელთან ერთად „შემსყიდველს“ უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები - სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

მუხლი 5. ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ეროვნულ ვალუტაში;

5.2 ანგარიშსწორების ვადა (გრაფიკი): „მიმწოდებლის“ მიერ საქონლის მიწოდებისა და შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 6. გარანტია

6.1 „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი შეესაბამება „შემსყიდველის“ მოთხოვნებს;

6.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა „შემსყიდველის“ მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

მუხლი 7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება მიწოდებული საქონლის ხარისხისა და ვადების შემოწმების გზით;

7.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

7.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს „შემსყიდველის“ შემდეგი წარმომადგენელი:

1) სამეურნეო სამმართველოს, სამშენებლო-სარემონტო ღონისძიებათა განყოფილების უფროსი – იოანე ჭანტურია.

მუხლი 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1 მოთხოვოს „შემსყიდველს“ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

8.2.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8.3 „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.3.1 შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.4 „შემსყიდველი“ ვალდებულია:

8.4.1 მოახდინოს ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

8.4.2 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა;

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან „შემსყიდველისათვის“ პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

9.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა;

9.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით;

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

მუხლი 11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 „შემსყიდველს" შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, „მიმწოდებლისათვის" ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ „მიმწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან „შემსყიდველის" მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ „მიმწოდებელს" არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" და „შემსყიდველს" დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

11.3 „შემსყიდველს" შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ „შემსყიდველისათვის" ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო „მიმწოდებელი" ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) „მიმწოდებლის" გადახდისუუნაროდ ცნობის შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 12. მხარეთა პასუხისმგებლობა

12.1 ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;

12.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაგვიანებით შესრულებული ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.1%-ის ოდენობით;

12.3 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით;

12.4 ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 10%-ის ოდენობით;

12.5 იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, „შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

მუხლი 13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 15 მაისის ჩათვლით.

მუხლი 15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;

15.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება თანაბარი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

„შემსყიდველი“:	„მიმწოდებელი“:
საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	შპს „ზოდი პლიუსი“
ქ.თბილისი, 9 აპრილის ქ.№2	ქ.თბილისი, წერეთლის გამზირი №149 ტელ: 577033001, 577276763
საქართველოს სახელმწიფო ხაზინა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისათვის – 4001 ა/ა №GE24NB0330100200165022 კოდი TRESGE22	სს „საქართველოს ბანკი“ ა/ა №GE13BG0000000313377700 კოდი BAGAGE22
საიდენტიფიკაციო კოდი - 203840344	საიდენტიფიკაციო კოდი - 202424313
„შემსყიდველის“ სახელით:	„მიმწოდებლის“ სახელით:
საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	შპს „ზოდი პლიუსის“ დირექტორის მინდობილი პირი (№19 0057581 21.01.2019 წ.)
ილია ტარასაშვილი	ჯაბა ფუტკარაძე

Digitally signed by special state protection service of georgia

ხელშეკრულების დანართი №1

მიმწოდებლის დასახელება: შპს „ზოდი პლიუსი“

№	საქონლის დასახელება	კლასიფიკატორის კოდი	რაოდენობა	განზომილების ერთეული	ერთეულის ფასი ლარში	ჯამი ლარში
1	ლამინატი გერმანული	44112200	11	კვადრატული მეტრი	24	264
2	ღრუბელი 3მმ	44112200	11	ცალი	1.5	16.5
3	პლინტუსი 01	44112200	6	ცალი	2.5	15
4	პლინტუსის აქსესუარები შიდა - 6, გარე - 2, გადაბმა - 1, დაბოლოვება - 2	44112200	11	ცალი	0.5	5.5
5	პოლიურეთანის ქაფი 850 გრ. (AKFIX)	44192100	10	ცალი	11.5	115
6	სილიკონის წებო 280 მლ. გამჭირვალე	24951120	50	ცალი	6.5	325
სულ დღგ-ს ჩათვლით						741.00

„შემსყიდველის“ სახელით:
სამეურნეო სამმართველოს,
სამშენებლო-სარემონტო ღონისძიებათა
განყოფილების უფროსი

იოანე ჭანტურია

„მიმწოდებლის“ სახელით:
შპს „ზოდი პლიუსის“
დირექტორის მინდობილი პირი
(№190057581 21.01.2019წ.)

ჯაბა ფუტკარაძე

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ვადასტურებთ, რომ შპს „ზოდი პლიუსთან“ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

ეკონომიკური დეპარტამენტის
უფროსის მოადგილე — ილია ტარასაშვილი

სამეურნეო სამმართველოს, სამშენებლო-სარემონტო
ღონისძიებათა განყოფილების უფროსი — იოანე ჭანტურია

ეკონომიკური დეპარტამენტის, ბიუჯეტის დაგეგმვის,
კონტროლისა და სახელმწიფო შესყიდვების
სამმართველოს უფროსის მოადგილე — ვასილ მეგრელიშვილი

ეკონომიკური დეპარტამენტის, ბიუჯეტის დაგეგმვის,
კონტროლისა და სახელმწიფო შესყიდვების
სამმართველოს მთავარი სპეციალისტი — თამარ რამაზაშვილი

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

78341400909419

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N190057581

რეგისტრაციის თარიღი

21.01.2019 წ

ნოტარიუსი: ნინო თოფურია
მისამართი: ქ. თბილისი დ. აღმაშენებლის გამზ. 179-ა, ბინა 15 (პირველი სართული)
ტელეფონი: 2348157

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ცხრამეტი წლის ოცდაერთ იანვარს მე, ნოტარიუს ნინო თოფურიას, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №179ა, ბინა 15 (პირველი სართული) *შპს "ზოდი პლიუსი"-ს* (იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ნაძალადევის რაიონი, აკ. წერეთლის გამზ. #149, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, დიღმის ხიდიდან ქსნის ქუჩისკენ ჩასასვლელ გზასთან, საიდენტიფიკაციო კოდი: 202424313, ელ. ფოსტა: info@zodi.ge; რეგისტრაციის თარიღი: 25/09/2007) სახელით მომმართა მისმა დირექტორმა – ზაურ გაბაიძემ (დაბ. ხულოში 30.11.1965წ. მისამართი: თბილისი, ს. ცინცაძის ქ. 33, ბ. 12, პ/მ 13IE75489, პირადი №61002000241, გაც. 30.05.2014წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ), რომლის უფლებამოსილება დგინდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B 18062469, 07/06/2018 17:26:00), განმიცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება.

მე დავადგინე მიმნდობის პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, მასთან გასაუბრებით შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, ასევე შევამოწმე მისი უფლებაუნარიანობა და ნების გამოვლენის ნამდვილობა, რაშიც ეჭვი არ შემპარვია. მიმნდობს განვუმარტე, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა, რის შესახებაც უნდა აცნობოს რწმუნებულს. ამ განმარტების შემდეგ, შევადგინე წინამდებარე მინდობილობის პროექტი, რომელიც წავუკითხე მას. მიმნდობმა თავადაც წაიკითხა იგი, ნათლად, მკაფიოდ განაცხადა, რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს მის ნებას და ჩემი – ნოტარიუსის თანდასწრებით ხელი მოაწერა მას.

მინდობილობა

ორი ათას ცხრამეტი წლის ოცდაერთ იანვარს

მე – ზაურ გაბაიძე (დაბ. ხულოში 30.11.1965წ. მისამართი: თბილისი, ს. ცინცაძის ქ. 33, ბ. 12, პ/მ 13IE75489, პირადი №61002000241, გაც. 30.05.2014წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ), როგორც შპს "ზოდი პლიუსი"-ს (იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ნაძალადევის რაიონი, აკ. წერეთლის გამზ. №149, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, დიღმის ხიდიდან ქსნის ქუჩისკენ ჩასასვლელ გზასთან, საიდენტიფიკაციო კოდი: 202424313, ელ. ფოსტა: ინფო ზოდი.გე; რეგისტრაციის თარიღი: 25/09/2007) დირექტორი, რომლის უფლებამოსილება დგინდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B 18062469, 07/06/2018 17:26:00), უფლებას ვაძლევ *ჯაბა ფუტკარაძეს* (დაბ. ბათუმში 01.06.1985წ. რეგისტრაციის მისამართი: თბილისი, წყნეთის გზატ. 39, ბ. 22, პ/მ 17IB51159, პირადი #61002015306, გაც. 22.08.2017წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ),

ნებისმიერ სახელმწიფო, არასახელმწიფო, კომერციულ, ადმინისტრაციულ, საზოგადოებრივ, ადმინისტრაციულ ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, ასევე, ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობებში წარმოადგინოს შპს "ზოდი პლიუსი"-ს (ს/კ 202424313) ინტერესები. ამასთან დაკავშირებით ჩემი რწმუნებული უფლებამოსილია:

– ჩემი, როგორც შპს "ზოდი პლიუსი"-ს (ს/კ 202424313) დირექტორის სახელით გააკეთოს ნებისმიერი შინაარსის განცხადება/თანხმობა, შეაგროვოს, წარადგინოს ან/და მიიღოს ცნობები, დოკუმენტები, დუბლიკატები, ამონაწერები, მოწმობები, ინფორმაცია, ინვოისი, წარდგენა/მიღებაზე მოაწეროს ხელი; ასევე ჩემი რწმუნებული უფლებამოსილია შპს "ზოდი პლიუსი"-ს (ს/კ 202424313) სახელით აწარმოოს მოლაპარაკებები ნებისმიერ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირთან, ხელი მოაწეროს ნებისმიერი ტიპის/სახის ხელშეკრულებას, ხელშეკრულებათა ნებისმიერი პირობა (მათ შორის ყველა სახის გაანგარიშება) განსაზღვროს თავისი შეხედულებით, მიიღოს/გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი ოდენობისა და დანიშნულების თანხა, დაარეგისტრიროს ხელშეკრულებები შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში, გადაიხადოს რეგისტრაციის საფასური; საჭიროების შემთხვევაში, გააუქმოს ან/და გააგრძელოს, შეიტანოს ცვლილება ან/და დამატება ხელშეკრულებებში, ხელი

მოაწეროს შესაბამის შეთანხმებას, აქტს, დაარეგისტრიროს ისინი მარეგისტრირებელ ორგანოში, გადაიხადოს კანონით დადგენილი გადასახადი, მოაწეროს ხელი;

– იყოს ჩემი, როგორც შპს "ზოდი პლიუსი"-ს (ს/კ 202424313) დირექტორის წარმომადგენელი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განმხილველ საბჭოში, შემოსავლების სამსახურში, რეგიონალურ ცენტრში (საგადასახადო ინსპექციაში), ჩემი სახელით შეიტანოს განცხადება, წარადგინოს ან/და მიიღოს საჭირო ცნობები, დოკუმენტები, საბუთები, დეკლარაციები, საჭიროების შემთხვევაში შედარების აქტები, ანგარიშ-ფაქტურები, აწარმოოს ელექტრონული დეკლარირების რეგისტრაცია, ასევე, საჭიროების შემთხვევაში აიღოს ახალი სალარო აპარატი და განახორციელოს სალარო აპარატთან დაკავშირებული ყველა პროცედურა და მოქმედება, მოაწეროს ხელი;

– ნებისმიერ "გეზ"-ში, საბაჟოზე, ტერმინალში, პორტში მიიღოს და გახსნას შპს "ზოდი პლიუსი"-ს (ს/კ 202424313) სახელზე ნებისმიერი ქვეყნიდან გამოგზავნილი კონტეინერი, ტვირთი; იყოს ჩემი, როგორც შპს "ზოდი პლიუსი"-ს (ს/კ 202424313) დირექტორის წარმომადგენელი "გეზ"-ში, სსიპ შემოსავლების სამსახურის შესაბამის ტერიტორიულ ორგანოებსა და სხვა კომპეტენტურ ორგანიზაციებში, გადაიხადოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადები, აწარმოოს სასაქონლო ოპერაციები, მოახდინოს ტვირთის განბაჟება და ტრანსპორტირება დანიშნულების ადგილამდე, მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტაციას;

– ჩემი, როგორც შპს "ზოდი პლიუსი"-ს (ს/კ 202424313) დირექტორის სახელით ნებისმიერი საბანკო დაწესებულებაში (მათ შორის: სს "თიბისი ბანკში", სს "ბანკი რესპუბლიკაში", სს "საქართველოს ბანკში", სს "ზირაათ ბანკში"), მის ნებისმიერ ფილიალში, განყოფილებაში გახსნას, მართოს და განკარგოს შპს "ზოდი პლიუსი"-ს (ს/კ 202424313) კუთვნილი ნებისმიერი სახის ანგარიში, ნებისმიერ ვალუტაში, აწარმოოს მათზე ნებისმიერი სახის საბანკო ოპერაცია (მათ შორის: ნებისმიერი ოდენობის და დანიშნულების თანხის შეტანა, გამოტანა, ჩარიცხვა, გადარიცხვა, კონვერტაცია, ჩეკის, თანხის განაღდება, ინტერნეტ-ბანკინგის და სხვა დისტანციური მომსახურების ჩართვა/გათიშვა, დიჯიპასის მიღება და სარგებლობა, ნებისმიერი ტიპის ანგარიშის გახსნა ბარათის დამზადების და გატანის უფლებით (მათ შორის დაკავებული ბარათის მიღება) და სხვა); მოიძიოს და მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია, შეიტანოს განცხადება, მიიღოს ცნობა, ამონაწერი საბანკო ანგარიშიდან, ცნობა დავალიანების შესახებ, დახუროს/გახსნას ანგარიში, მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტაციას; ასევე ხელი მოაწეროს სესხის, საკრედიტო ხელშეკრულებებს, ხელშეკრულებათა ნებისმიერი პირობა (მათ შორის ყველა სახის გაანგარიშება) განსაზღვროს თავისი შეხედულებით, მიიღოს/გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი ოდენობისა და დანიშნულების თანხა; საჭიროების შემთხვევაში, შეიტანოს ცვლილებები, დამატებები, გააუქმოს, მოაწეროს ხელი შესაბამის შეთანხმებებს და შეასრულოს ყველა ის მოქმედება და ფორმალობა, რაც საზოგადოების წესდებითა და საქართველოს კანონით "მეწარმეთა შესახებ" მინიჭებული აქვს დირექტორს და რაც პირდაპირ მითითებული არ არის წინამდებარე მინდობილობაში, მაგრამ აუცილებელია ზემოაღნიშნული დავალებების შესასრულებლად.

ამასთან ვაცხადებ, რომ *ჯაბა ფუტკარაძის* მიერ განხორციელებული ყველა მოქმედება ზემოაღნიშნული დავალებების შესასრულებლად, ჩემს მიერ უპირობოდ იქნება მოწონებული.

მინდობილობა გაცემულია სამი წლის ვადით და ძალაშია ორი ათას ოცდაორი წლის ოცდაერთი იანვრის ჩათვლით.

აღნიშნული მინდობილობა, "მიმნდობის" თხოვნით შედგენილია ექვს თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ნინო თოფურიას სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი მიეცა მიმნდობს ხელზე.

მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება ნოტარიუს ნინო თოფურიას სანოტარო არქივში დანართის სახით თან ერთვის 1 დოკუმენტი:

– ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B 18062469, 07/06/2018 17:26:00).

(შპს "ზოდი პლიუსი"-ს წესდება, დამოწ. 20.09.2007წ. ნოტარიუს თ. ვაშაკიძის მიერ, რეესტრის №1-4767 (ასლი), დანართის სახით ინახება ნოტარიუს ნ. თოფურიას მიერ 22.12.2011წ. დამოწ. №111399609 მინდობილობაში.)

სანოტარო მომსახურებისათვის გადახდილია საზღაური, თანახმად "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ" 29.12.2011წ. საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების 31-ე მუხლისა, 10 ლარი და 39-ე მუხლისა "ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციისათვის", დღგ-ს ჩათვლით, 2 ლარი. სულ, გადახდილია 12 (თორმეტი) ლარი.

ნოტარიუსი: ნ. თოფურია

GEORGIA. NOTARY NINO TOP